# გარეჯის მაცნე



საგარეჯო

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №13-14(123-124) 2016 წ. 1-31 ივლისი ფასი 50 თეთრი


### ვაჟა-ფშაველა – 155

# რიგით XIV „ვაჟაობა“ კოჭბანში



**მას** შემდეგ 40 წელი გავიდა, რაც ლიტერატურული სახალხო ღონისძიება „ვაჟაობა“ სოფელ კოჭბანში პირველად აღინიშნა, რომელიც ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 115-ე წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიების სულისჩამდგმელი და ტრადიციადქცევის ორგანიზატორი მაშინდელი კომკავშირის საგარეჯოს რაიკომის I მდივანი ალექსი არაბული იყო, რომელსაც დიდი ენთუზიაზმით და სიხარულით გვერდში დაუდგა რაიონის მთელი ახალგაზრდობა და სხვა ხელმძღვანელი პირები. აქვე გადაწყდა, რომ ღონისძიება ივლისის II კვირაში გაიმართებოდა ხოლმე. უამრავი ხალხი იყრიდა აქ თავს – სხვადასხვა რაიონების, მთისა თუ ბარის, რაიონის თითქმის ყველა სოფლიდან. ქალაქიდან მოწვეული სტუმრები აქ მხოლოდ ლექსების, სიმღერების მოსასმენად, ცეკვის, დოლის, ჭიდაობის საყურებლად როდი მოდიოდნენ. ღონისძიების მონაწილენი ცნობილ მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, საქართველოს საპატიო მოქალაქეებთან, რესპუბლიკის ხელმძღვანელ პირებთან ერთად დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ხალხური რეწვის ნიმუშებს. საგარეჯოს მთის სოფლების ქალებს უხვად ჰქონდათ წარმოდგენილი ლამაზფერა, ჭრელაჭრულა ძაფებით მოქსოვილი წინდები, ხელთათმანები, ტანსაცმელი... აქაური სახალხო მთქმელები ქალაქიდან ჩამოსულ პოეტებს თავს აწონებდნენ თავიანთი ლექსებითა და კაფიებით...



შემდეგ კი 1988 წლის შემდეგ 2008 წლამდე აქ აღარ გახმიანებულა ვაჟას ლექსები...

და აი,23 ივლისს აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების“ (დირექტორი ბესო ღვინაშვილი) ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით აქ გაიმართა „ვაჟაობა“, რომელიც ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 155 წლისთავს მიეძღვნა.



ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ქართველი მწერლები, პოეტები. სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული მომღერალ ვაჟთა ანსამბლი „გარეჯი“ (ხელმძღვანელი მალხაზ ივანელაშვილი), ქალთა სახალხო ანსამბლი „ჩინარი“ (ხელმძღვანელი ნელი გულიკაშვილი), საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „გარეჯა“ (ქორეოგრაფები თინათინ მეზვრიშვილი, ფიქრია ჩეკურიშვილი, გია კუჭუაშვილი), სახალხო მთქმელი ნინოწმინდელი შალვა ოკინაშვილი, თბილისიდან მოწვეული პოეტები ტარიელ ხარხელაური, თემურ ჩალაბაშვილი, მზია ხეთაგური...



„ვაჟაობაზე“ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ სპორტსმენებმა თავისებური ხალისი შეიტანეს. აქ ქართული სტილის მოჭიდავეებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ძიუდოისტმა გოგონებმაც (მწვრთნელი ლუდა ფერაძე). მთის სოფლის ახალგაზრდებმა კიდევ ერთხელ აჩვენეს თავიანთი სიჩაუქე – არც თავი დაზოგეს,არც ცხენები დაინდეს და მაყურებელს საოცარი სანახაობა აჩვენეს. დოღში გამარჯვებულს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დაწესებული ჯილდო – ჭედილა გადაეცა.



ღონისძიებაში მონაწილე გამარჯვებულ სპორტსმენებს აიპ „საგარეჯოს კულტგაერთიანების ხელმძღვანელების მიერ დაწესებული ჯილდოები და საჩუქრები გადასცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გიორგი გზირიშვილმა**, ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ფრიდონ ბურდულმა,** აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა **ბესო ღვინაშვილმა**, ხოლო აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ დირექტორმა **გიორგი მაისურაძემ** ჭიდაობაში გამარჯვებულებს ამავე გაერთიანების მიერ დაწესებული ჯილდოები – ოქროსა და ვერცხლის სინჯის მედლები გადასცა.











*თინა ილაური*

## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 ივლისის სხდომას ***ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. მან საკრებულოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა.*** როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დადგენილებაში ცვლილებების შეტანა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის №980 განკარგულების და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №1247 განკარგულების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შემცირდება 114449 ლარით, შესაბამისად, გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით 114449 ლარით.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელებულ ცვლილებებს, ის შემდეგი სახითაა – საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის №980 განკარგულებით შემცირდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებით გამოყოფილი თანხა – 99480 ლარით, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №1247 განკარულებით შემცირდა 14969 ლარით და შეადგინა 2500030 ლარი. კერძოდ, შემცირდა: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდა – 34899 ლარით. ბიუჯეტის მეექვსე ცვლილებით შემოსულობები შეადგენს 11095784 ლარს და გადასახდელებში 13061183 ლარს.

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კაკაბეთის ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ფართი 716 მ2) განთავსებული შენობა-ნაგებობის (გაშენების ფართი 234მ2) პირველ სართულზე, განთავსებული ერთი და მეორე სართულზე ოთხი ოთახი 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2017 წლის 1 ოქტომბრამდე, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლისათვის გადაცემის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გიორგი ქურდოვანიძემ.***

**საკითხის** – „ქალაქ საგარეჯოში მცხოვრებ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლებისათვის ნუმერაციის მინიჭების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ელდარ მეფარიძემ.***

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხებზე და მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

**19 ივლისი, 2016 წ**



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი*** უძღვებოდა.

თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებმა სოფლებში ისაუბრეს წინა თათბირებზე დასმული პრობლემების მოგვარებისათვის სათანადოდ გაწეული სამუშაოების შედეგების შესახებ და აქვე გააკეთეს ზეპირი ინფორმაცია ჯერჯერობით კვლავ არსებული პრობლემების შესახებ.

თათბირს ესწრებოდნენ გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი გიორგი ქურდოვანიძე და ამავე სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსი ბექა ფეიქრიშვილი. მათ დაწვრილებით მიმოიხილეს თითოეულ სოფელში ინფრასტრუქტურის კუთხით მიმდინარე სამუშაოები და დასახეს პრობლემების მოგვარების გზები.



## ინფრასტრუქტურა-2016

### სოფელი შიბლიანი

**სამ** ათეულ წელზე მეტია სოფელ შიბლიანის (გამგებლის წარმომადგენელი რობიზონ სადუნაშვილი) მოსახლეობა რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალიდან სოფლამდე ამორტიზებული საავტომობილო გზის მოასფალტებას ელოდა. იყო პერიოდი, საერთოდ იმედი აღარც ჰქონდათ თუ საკითხი დადებითად გადაწყდებოდა. დღეს აქ 8250 $მ^2$ ფართობზე ასფალტის დაგება მიმდინარეობს.

სოფელში ასევე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან მორჩენილი თანხებით (5498 ლარი) მიმდინარეობს საუბნო (ე.წ. „თუთუბაანთუბნის“) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ცენტრალურ ქუჩაზე კეთდება გარე-განათება.






### „ინფრასტრუქტურა-2016“

# სკოლები ახალი სასწავლო წლისთვის ემზადებიან

### „მილენიუმის პროგრამა“

# მუნიციპალიტეტის 4 საჯარო სკოლის სრული, ერთის კი ნაწილობრივი რეაბილიტაცია მოხდება

**ეს** სასიხარულო ცნობა გაზეთის რედაქციას ამ დღეებში ***საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა* მანანა ცუცქირიძემ** მოაწოდა. როგორც მან გვაცნობა, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდებათ იორმუღანლოს საჯარო სკოლის ძველ, სამსართულიან კორპუსს და აქვე აშენდება სპორტული დარბაზი. აღნიშნული სამუშაოები ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ და სასექტემბროდ, ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის დასრულდება. იგივე სააგენტოს დაფინანსებით ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდება დუზაგრამის საჯარო სკოლას.




მსოფლიო ბანკის „მილენიუმის პროგრამაში“ ჩაერთო მუნიციპალიტეტის სამი: ქ. საგარეჯოს №2, პატარძეულისა და კაკაბეთის საჯარო სკოლები. ამ პროგრამით და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით სამივე სკოლის შენობებს ჩაუტარდებათ სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოები დაიწყება სექტემბრის თვიდან და 6 თვეში უნდა დასრულდეს. მანამდე ამ სკოლების მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის განახლება და მეცადინეობების ჩატარება მეზობელი დასახლებული პუნქტების სკოლებში მოუწევთ. კერძოდ, კაკაბელ მოსწავლეებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ პატარა ჩაილურის,პატარძეულელებს – ნინოწმინდის, საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებს კი ქალაქის III საჯარო სკოლის შენობაში. მანანა ცუცქირიძის განმარტებით მოსწავლეთა და პედაგოგთა დასახელებულ პუნქტებში გადაადგილებას „მილენიუმის პროგრამა“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს. ექვსი თვის შემდეგ კი საკუთარ სასკოლო შენობებში დაბრუნებულ მოსწავლეებს სასწავლო პროცესების გაგრძელება თანამედროვე სტანდარტების მიხედვით სრულიად განახლებულ, ახალი ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახებში მოუწევთ.

*გ. დაბახიშვილი*













<u>სოფლის მეურნეობა</u>

### „ალოობა–2016“

# ქერის მოსავალი დამაკმაყოფილებელია

**მიმდინარე** 2016 წლისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საშემოდგომო თავთავიანების ნათესებს 7250 ჰა-ზე ჰქონდა საფუძველი ჩაყრილი. აქედან, ხორბლის ნათესებს 5430 და ქერს 1820 ჰა-ზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით საპროგნოზო მოსავლიანობა ხორბალში – 11403, ხოლო ქერში – 4186 ტონას შეადგენს.

18 ივლისის მდგომარეობით ქერის მკა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დასასრულს უახლოვდება. ამ დღისათვის ეს კულტურა აღებული იყო 1765 ჰექტარზე, ანუ მთლიანი ფართობის 97%-ზე, საიდანაც მიღებულია 3883 ტონა მარცვალი, ანუ საშუალოდ ყოველ 1 ჰა-ზე 2,2 ტონა.

იმავე 18 ივლისის მდგომარეობით ხორბლის მთლიანი ნათესი ფართობებიდან აღებული იყო 2715 ჰა ,რომლის საშუალო საჰექტარო გამოსავლიანობა ქერის მსგავსად 2,2 ტონას შეადგენს.

სულ მუნიციპალიტეტში თავთავიანების აღებაზე ჩართულია 11 კომბაინი.

ალოობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გრძელდება.

*გივი დაბახიშვილი*



# წარმატებული მოსწავლეები

## ჩვენი მედალოსნები



**2015-2016 სასწავლო წლის ბოლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 385-მა ახალგაზრდამ მიიღო საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის სტატუსი. მათგან წარმატებულის – 25-მა. აქედან 15 ოქროს სინჯის მედალოსანია, 10 – ვერცხლის. აი, ისინიც:**

<u>ოქროს მედალოსნები:</u>



**კურდღელაშვილი ილია** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა;
**ქურხული გიორგი** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა
**დოლენჯაშვილი გიორგი** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა;
**ესაიაშვილი გიორგი** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა;
**ქურხული ეთერი** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა;
**დურგლიშვილი ნანა** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა.
**ჩოკოშვილი ნატო** – ბოგდანოვკის საჯარო სკოლა;
**ჩარკვიანი ელენე** – თოხლიაურის საჯარო სკოლა;
**ბორაშვილი ნინო** – თოხლიაურის საჯარო სკოლა;
**შიოშვილი სალომე** – ნინოწმინდის საჯარო სკოლა;
**გიუნაშვილი გიორგი** – პატარძეულის საჯარო სკოლა;
**ნიკოლოზაშვილი ანა** – უჯარმის საჯარო სკოლა;
**შენგელიძე ნინო** – ყანდაურის საჯარო სკოლა;
**ჯავახიშვილი თამარი** – ყანდაურის საჯარო სკოლა;
**გაგნიაშვილი თამარი** – წყაროსთავის საჯარო სკოლა;

<u>ვერცხლის მედალოსნები:</u>

**ესაიაშვილი ქეთევანი** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა;
**ბუზარიაშვილი უჩა** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა;
**ბასილაშვილი შალვა** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა;
**ლომსიანიძე გიორგი** – საგარეჯოს I საჯარო სკოლა;
**ქვრივიშვილი თამარი** – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
**ივანიაშვილი ნათია** – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
**არაბული თამარი** – საგარეჯოს II საჯარო სკოლა;
**თევდორაშვილი გიორგი** – საგარეჯოს IV საჯარო სკოლა;
**ხუროშვილი ნონა** – ბოგდანოვკის საჯარო სკოლა;
**თიბიაშვილი ნელი** – თოხლიაურის საჯარო სკოლა;

## დამსახურებული ჯილდო



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 24 მოსწავლე 2015-2016 სასწავლო წელს სწავლაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ლეპ-ტოპით დაასაჩუქრა. აი, ისინიც:

**სალომე ესაიაშვილი, სალომე ჭიკაძე, ნანა კავთუაშვილი, გიორგი მარხვაშვილი, თემურ კოტორაშვილი, ირაკლი სიფროშვილი, ანი ქურხული** (ყველა საგარეჯოს I საჯარო სკოლა), **სალომე კოხტაშვილი, ოთარ ლაფაჩიშვილი, კესო ქვლივიძე** (საგარეჯოს II საჯარო სკოლა), **ილია დურგლიშვილი** (საგარეჯოს III საჯარო სკოლა), **მანანა ყაზარაშვილი, ლიკა ჭიაბერაშვილი, ნინო მეზვრიშვილი** ((საგარეჯოს IV საჯარო სკოლა), **მეგი ჯანანაშვილი** (თოხლიაურის საჯარო სკოლა), **გიორგი ბუზიაშვილი, მაკა დაბახიშვილი** (მანავის საჯარო სკოლა), **ნუცა ცხვარიაშვილი, ალექსანდრე უთრუზაშვილი, გვანცა სიბოშვილი, მარი ლალიაშვილი** (პატარძეულის საჯარო სკოლა), **მარიამ ლებაშვილი, სოფიკო ათაბეგაშვილი, ანუკა კოზმანაშვილი** (ყანდაურის საჯარო სკოლა).

## გიორგი ესაიაშვილი –
# კიდევ ერთი ფლექსელი საგარეჯოდან



**ამერიკული** საბჭოების ეს პროექტი, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ამოქმედდა, ყოველწლიურად 50-მდე ქართველ მოსწავლეს აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთწლიანი ცხოვრებისა და სწავლის შანსს. 15-17 წლის ახალგაზრდისათვის ეს დიდი გამარჯვება და დამოუკიდებელი ცხოვრების გზის წარმატებით დაწყების შესანიშნავი შესაძლებლობაა. 50 საუკეთესოთა შორის მოხვედრაც თვითრწმენას მატებს ახალგაზრდას – თანაც როცა ეჭვიც არ შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს გადაწყვეტილების ობიექტურობაში – მათი შერჩევა ხომ ვაშინგტონში წყდება და „ჩაწყობები" გამორიცხულია.

მანამდე კი იყო თელავში გავლილი სამი ტური. პირველში ინგლისური ენის ცოდნაზე კეთდებოდა აქცენტი, მეორეში სამი თემა დაწერეს, შემდეგ იყო გასაუბრება და რამდენიმეთვიანი მოლოდინი.

ასეთ გზას გადის ათასობით ახალგაზრდა, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ 50-ოდეს უმართლებს. ასეთი გზა განვლო საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლემ გიორგი ესაიაშვილმაც და სულ მალე ოჰაიოს შტატის პატარა ქალაქ ბალტიმორის სკოლის მოსწავლე გახდება, ეყოლება მეორე „მშობლები" ამერიკაში, რომლებიც მასზე ისევე იზრუნებენ, როგორც ნამდვილი დედ-მამა, სკოლის ახალი მეგობრები... ერთი სიტყვით საინტერესო და შინაარსიანი წელიწადი ელის.

კარგად მესმის გიორგის მშობლების განცდები, სიხარულიც, შვილის ასეთი წარმატების გამო და ერთგვარი შიშიც, ასე შორს „გადაკარგვის" შეგუება იოლი ნამდვილად არ არის, ასეთი რამ მეც გამოვცადე ათიოდე წლის წინ, როცა ჩემს შვილს ვაცილებდი ამერიკაში, მასაც ოჰაიოს შტატში მოუწია ცხოვრება. განა არ ინერვიულებდი, როცა 15-16 წლის თინეიჯერს, რომელიც დამოუკიდებლად იქნებ თბილისშიც არ ყოფილა, მოუწევს ვაშინგტონის აეროპორტიდან დამოუკიდებლად გაფრინდეს კოლუმბუსში (ოჰაიოს შტატის ადმინისტრაციული ცენტრი), სადაც ალბათ მისი მომავალი მასპინძლები დახვდებიან.

ყოველ შემთხვევაში გიორგის ამის არ ეშინია, თუმცა გარკვეულწილად ალბათ ღელავს. უკვე შეეხმიანენ იქაური „მშობლები", რომელთაც ფლექსელების მიღების ტრადიცია ჰქონიათ, მათ ოჯახში მრავალი ქვეყნის ახალგაზრდას უცხოვრია თურმე.

ოჰაიოელები ძალიან თბილი, ურთიერთობაში გახსნილი და უშუალონი ყოფილან, უცხო ადამიანს გამოელაპარაკებიან, გამოიკითხავენ მის ვინაობას და თუ რამე გჭირდება სიამოვნებით დაგეხმარებიან. ასე, რომ ერთგვარად ქართული ხასიათი აქვთ.

– დიდ სიხარულთან ერთად დიდ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ,– გვეუბნება გიორგი, – ველი ახალ ურთიერთობებს, კარგ გამოცდილებას. მჯერა, ერთი წლის შემდეგ უფრო დამოუკიდებელი პიროვნება ვიქნები. აქ ყველა საგანში 10-იანი მაქვს და იმედი მაქვს არც ამერიკაში გამიჭირდება სწავლა.

ვეცდები კარგად გავაცნო ჩემი ქვეყანა ამერიკელ მეგობრებს. ამისი საშუალება ნამდვილად მექნება, რადგანაც ცეკვაზეც დავდიოდი, სიმღერაც მეხერხება, ფორტეპიანოზე ვუკრავ, ვხატავ, ბევრს ვკითხულობ, ვწერ ლექსებს, ჩანახატებს, მოთხრობებს...

ვულოცავთ გიორგის მისი ცხოვრების ამ პირველ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს. სწორედ მან და მისმა თაობამ უნდა შეძლოს ჩვენი ქვეყნის მომავლის, წინსვლისა და განვითარების უზრუნველყოფა.

<u>სიახლეები</u>

## ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობისათვის სოციალური ანგარიშვალდებულებისათვის საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან - „ადამიანი გაჭირვებაში" (ინგ. "People in Need")

აღნიშნულ არასამთავრობო ორგანიზაციას ჰყავს ახალგაზრდული კომიტეტი, სადაც გაწევრიანებული არიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები.

"ადამიანი გაჭირვებაში" არის ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს 2005 წლიდან და ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა მიმართულებით. ერთ-ერთი ასეთი პროექტია ახალგაზრდების ჩართულობის და სოციალური ანგარიშვალდებულების პროექტი, აღნიშნული პროექტი ხორციელდება წყალტუბოს, თერჯოლის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, პროექტის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა რამდენიმე აქტივობა, როგორიცაა, ახალგაზრდების სოციალური ანგარიშვალდებულების კვლევა, ტრენინგები, ახალგაზრდული ბანაკი, რომლის ფარგლებშიც დაიწერა მუნიციპალური ახალგაზრდული სამოქმედო გეგმა ჩვენი სამსახურის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობით.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობებში დაიხარჯა 70000 ლარი, პროექტი სრულად დაფინანსდა „მსოფლიო ბანკისგან" სამოქმედო გეგმის მიხედვით, ***ჩვენი მუნიციპალიტეტის 12 სოფელში*** (გიორგიწმინდა, გომბორი, კოჭბანი, უჯარმა, ხაშმი, იორმუღანლო, შიბლიანი, კაკაბეთი, მზისგული, მანავი, ვერხვიანი, უდაბნო) **შეიქმნა ახალგაზრდული კლუბები** აღჭურვილი შესაბამისი **საოფისე ინვენტარით და კომპიუტერული ტექნიკით.**

***ქ. საგარეჯოსა და შემდეგ 19 სოფელს*** (გიორგიწმინდა, ხაშმი, პატარძეული, ნინოწმინდა, გომბორი, უჯარმა, პატარა ჩაილური, თოხლიაური, მანავი, კაკაბეთი, შიბლიანი, ვერხვიანი, მზისგული, იორმუღანლო, ლამბალო, თულარი, დუზაგრამა, ყანდაურა) **გადაეცა სპორტული ინვენტარი.**

***ქ. საგარეჯოსა და შემდეგ 12 სოფელს*** (გიორგიწმინდა, ხაშმი, გომბორი, უჯარმა, კოჭბანი, მანავი, კაკაბეთი, შიბლიანი, ვერხვიანი, მზისგული, იორმუღანლო, უდაბნო) **გადაეცა მუსიკალური ინვენტარი.**



ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობს ახალგაზრდების მიერ თავისუფალი დროის სწორად გამოყენებას.



პროექტის ფარგლებში, ხელი შეეწყო ასევე ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციას, ეთნიკური უმცირესობების თანამონაწილეობით ***ჩატარდა*** შემდეგი **აქტივობები**: 2 სპორტული ღონისძიება და 2 კულტურული ღონისძიება-მხიარული სტარტები, მინი ფეხბურთი, ექსკურსია რაბათში, მეგობრობის დღე, რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდების დამეგობრებას და კომუნიკაციას.

მიმდინარე წლის 15 აპრილს, საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით გაიმართა ***შემოქმედებითი საღამო სიყვარულის დღესთან*** დაკავშირებით, სადაც პოეტური, მუსიკალური და მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებულმა ახალგაზრდებმა მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ანსამბლი „პატარა გარეჯელები", ანსამბლი"მირელა", ტატო მარხვაშვილი, ნია გოგიჩაიშვილი, ანუკი კერატიშვილი, ნოდიკო გერსამია, მარიამ საგინაშვილი, ნანუკა სამბელაშვილი, მარიამ დარბაისელი, ვანო მათიაშვილი, ანანო ქურხული, სალომე ჯაბადარი, ანანო ქვლივიძე, გიორგი ჭეშურაშვილი, ლარისა ქვრივიშვილი, თამუნა ცხვარიაშვილი და ტატო სულიკაშვილი. დარბაზში გამოფენილი იყო ელზა გველესიანის, ნელიკო თიბიაშვილის, თამუნა ჩერქეზიშვილის, ლიკა მახარობლიშვილის და ნიკა ჯიქიძის მიერ შესრულებული ნახატები.

22 აპრილს, **დედამიწის საერთაშორისო დღესთან** დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით მოეწყო **დასუფთავების აქცია.** დასუფთავდა ჩაილურის ციხის მიმდებარე ტერიტორია, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. აქციაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებთან ერთად დიდი და პატარა ჩაილურის საჯარო

*დასასრული მე-5 გვერდზე*

ახალგაზრდები

საჩუქრები

# ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობისათვის სოციალური ანგარიშვალდებულებისათვის საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის

**დასასრული**

სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ***10 მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახს და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს*** ეწვივნენ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და **ტკბილეულის კალათები და საკანცელარიო ნივთები გადასცეს**.

მიმდინარე წლის 20 მაისს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის, ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ (People in Need) და ახალგაზრდული კომიტეტის ერთობლივი ახალგაზრდული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ***ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით***, ჩატარდა **ტურნირი მინი ფეხბურთში** შერეულ ჯგუფებს შორის, გამარჯვებულ გუნდს გადაეცა თასი.



მიმდინარე წლის 24 მაისს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის, ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ (People in Need) და ახალგაზრდული კომიტეტის ერთობლივი ახალგაზრდული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა ღონისძიება „მეგობრობის დღე“, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა მოსწავლეებმა, მათ შეასრულეს სიმღერები და ლექსები როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ ენაზე. ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკონები და ბლოკნოტები.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქ.საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა. ჩატარდა მარათონი სირბილში, რომელშიც პირველი ადგილი მირიან კურდღელაშვილმა, მეორე ადგილი – ჯონი ლაფერიშვილმა, ხოლო მესამე ადგილი გიორგი სონიძემ დაიკავა. გამარჯვებულებს სიგელები და მედლები გადაეცათ. ასევე გაიმართა კონცერტი და ნაყინის აქცია. ღონისძიებების პარალელურად ბავშვებმა ფერადი ცარცებით ასფალტი მოხატეს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, ***შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან*** დაკავშირებით, მიმდინარე წლის 17 ივნისს ჩატარდა ***ექსკურსია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით,*** მათ მოინახულეს წმინდა ნინოს სახელობის ბოდბის დედათა მონასტერი და ქ. სიღნაღი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის, ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ (People in Need) და ახალგაზრდული კომიტეტის ერთობლივი ახალგაზრდული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ***ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით,*** სოფ. დუზაგრამაში **ჩატარდა „მხიარული სტარტები“,** სადაც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა ბავშვებმა სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, მიმდინარეობს ტურნირი მინი ფეხბურთში, მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, საქართველოს ბანკი, თი ბი სი ბანკი, კახეთის ენერგო დისტრიბუციის საგარეჯოს ფილიალი, ა.(ა).ი.პ სპორტ გაერთიანება, დელტა - ნეტი, შსს დაცვის პოლიციის საგარეჯოს განყოფილება, ბანკი კრისტალი და ბანკი ფინკა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, 19 ივლისს, ***მარიამჯვრის ტერიტორიაზე მოეწყო ახალგაზრდული ბანაკი*** საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობით.

ბანაკის მოწყობის მიზანი არის არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დრო დაეთმო სპორტულ და გასართობ თამაშებს, ახალგაზრდებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა ღონისძიებებში, წარმოადგინეს პრეზენტაციები პრობლემურ საკითხებზე და მოეწყო დებატები. თამაშის გამარჯვებულებს და ყველაზე აქტიურ პრეზენტატორს გადაეცათ საჩუქრები, ახალგაზრდული ბანაკის ყველა მონაწილეს ასევე გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური დიდ მადლობას უხდის ყველა ახალგაზრდას აქტიური მონაწილეობისთვის.



*ქეთევან ხაბაზიშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი ახალგაზრდულ საკითხებში***

თვითნასწავლი მხატვარი

# სპეციალობა — აღმოსავლეთმცოდნე სიყვარული — ფერწერის



**ძირძველი**, მრავალრიცხოვანი და ნიჭიერი გვარის წარმომადგენელია. თავშეკავებული, მორიდებული და იმდენად მოკრძალებული, მასზე ათეულობით წლით უფროსი ადამიანიც კი მოზომილი, გაწონასწორებული და მოკრძალებული ხდება მასთან საუბრისას. უყვარს საგარეჯო და საგარეჯოელები, ქართული და საქართველო, მთა და ბარი, ზღვა და ხმელეთი. მინდვრის უბრალო, ჩვეულებრივ ბალახშიც კი სილამაზეს და სინაზეს ხედავს, თავისებური ხედვით გადააქვს უსულო საგნის თითოეული შტრიხი თეთრ ქაღალდზე, ესათუთება, თითქოს ცოცხალ სულს შთაბერავს ლარნაკში განაბულ ყვავილებს, გულგადაშლილ, მწიფე ბროწეულებს თუ წითელლოყება ვაშლებს.

– ბავშვობიდანვე მიყვარს ხატვა, – მითხრა და დაიმორცხვა, ასევე სიმორცხვით დადო სოციალურ ქსელში თავისი ნახატები და მოგვიბოდიშა კიდეც, გვაგრძნობინა – მხატვრობაზე პრეტენზია არ მაქვს, უბრალოდ... ვხატავო. დამხატავს ჰგვანან დედამიწის უნაზესი ღიმილები – ყვავილებიც მისი ფუნჯის ქვეშ – მორცხვი, მუდამ ლამაზი, ნაზი...

ალბათ დაინტერესდით კიდეც, ვინ არის ის, ვისზედაც გესაუბრებით. გაგაცნობთ.

ქვლივიძეების გვარის წარმომადგენელია რუსუდანი (2010 წელს დაამთავრა საგარეჯოს II საჯარო სკოლა). მის გარდა მშობლებს ქეთი გილაშვილსა და მიშა ქვლივიძეს კიდევ ორი მომდევნო ქალიშვილი ჰყავთ – ანანო და კესო. ისინიც უფროსი დასავით ნიჭიერი და შემოქმედებითი გოგონები... დედ-მამისგან, ბებიებისგან ქართულ ლიტერატურასა და საქართველოზე შეყვარებულებს სამივეს ეხერხება წერა – ნოველების, ჩანახატების, საქართველოს ლამაზ-ლამაზი კუთხეების ფოტოგადაღებები...

რუსუდანთან საუბარი რატომღაც ხატვით დავიწყეთ და ხატვის შესახებ გავაგრძელოთ...

– ბავშვობიდან მიყვარს ხატვა, 3 წლისას ნაქარგ სურათზე ნანახი ბუ იმდენად მომწონებია, რომ შემდეგ ფურცელზე გამომისახავს. როდესაც მეკითხებოდნენ, მომავალში რა პროფესიას ავირჩევდი, დაუფიქრებლად ვპასუხობდი – მხატვარი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ჩემი თავი ხელოვნების რომელიმე სფეროში წარმომედგინა (ასევე მეხერხებოდა ძერწვა, თოჯინების ტანსაცმლის კერვა), მაინც სხვა პროფესიას დავეუფლე, – დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.



***– დღეს რომ არჩევანის წინაშე ახლიდან დადგე, რომელ პროფესიას აირჩევდი გადაუფიქრებლად?***

– დღეს რომ მიწევდეს ასეთი არჩევანის გაკეთება, ფერწერას ავირჩევდი.

***– როდის ხატავ, რა არის შენთვის ის, რასაც ხელოვანები შთაგონების წყაროს უწოდებენ?***

– ახლა იშვიათადღა ვხატავ, უფრო ბავშვობისდროინდელი პეიზაჟები მაქვს შემორჩენილი, (აქ წარმოდგენილი ნახატებიც და უმეტესობაც 13-15 წლის ასაკში მაქვს დახატული) შთაგონების წყარო ყოველთვის ჩვენი, საგარეჯოელების „კურორტი“ კოდა იყო (და დღესაც არის), სადაც ზაფხულობით ვისვენებდით. ახლაც ხშირად მივდივართ ხოლმე ფეხით ზურგჩანთამოკიდებული მეგობრები. მხიბლავს





ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ახლობლების გარემოცვაში ცეცხლთან ღამის გატარება, მზის ამოსვლის ყურება და გამთენიისას მონაბერი სიოს მოლამუნება, „თევდორე“ ჩიტების ძახილი რომ ახლავს თან.

***– რუსუდან, საყვარელი მხატვარი...***

– ჩემთვის უსაყვარლესი მხატვარია ვან გოგი, მისი შემოქმედება სიღრმისეულია, უფრო მეტ სულიერებას გადმოსცემს, სწორედ ამით გამოვარჩევდი სხვა მხატვრებისგან.

გასულ ზაფხულს ჯავახეთში ყოფნისას ერთ-ერთ სოფელში – ოკამში ხშირად ვსეირნობდი ხორბლის ყანებსა და მინდვრებს შორის. წარმომედგინა, თითქოს ამ გენიალური ფერმწერის ტილოები იყო ჩემს თვალწინ გადაშლილი. მომწონს მისი „მზესუმზირები“, „ვარსკვლავიანი ღამე“, „კარტოფილის მჭამელები“, „კვიპაროსები ხორბლის ყანაში“ და სხვა.

***– პორტრეტების ხატვა თუ გიცდია?***

– ჩემი შემოქმედება მხოლოდ ნახატებითა და პეიზაჟებით შემოიფარგლება, პორტრეტი



არ მიცდია. ასე მგონია, რომ ვერ გამომივა ისეთი, როგორიც მინდა. ჩემი ყველა ნახატი ბოლომდე მაინც არ მომწონს, ყოველთვის ვპოულობ რაღაც ისეთს, რაც არ მომწონს...

***– ყველა შემოქმედი ასეა, შემოქმედიც იმიტომ ჰქვია. ფერწერის გარდა?!***

– ლაშქრობები და საინტერესო ფოტოების გადაღება ჩემი ჰობია, ამიტომ მსურს საქართველოს ყველა კუთხე მოვიარო, განსაკუთრებით მთიანი ადგილები მიყვარს. გასულ, 2014-2015 წლებში მონაწილეობა მივიღე ჯავახეთის სტუდენტურ ექსპედიციაში, რომელიც 2001 წლიდან ეწყობა საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. ექსპედიციაში მონაწილე სტუდენტები სხვადასხვა საქმიანობით არიან დაკავებული: მონაწილეობენ ადგილობრივი უძველესი ეკლესია-მონასტრების აღდგენით სამუშაოებში, თავიანთი წვლილი შეაქვთ მართლმადიდებლურ სამონასტრო ცხოვრებაში, აწყობენ ექსკურსიებს, იქაურ მკითხველებთან ერთად მართავენ კულტურულ-საგანმანათლებლო საღამოებს...



***– ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ახალგაზრდობა ეცნობა თავისი ქვეყნის წარსულს, აწმყოს, ფასეულობებს, მტკიცდება სარწმუნოებაში. შენ როგორ შეაფასებ დღევანდელ ახალგაზრდობას და რას აფასებ ადამიანში ყველაზე მეტად?***

– დამეთანხმებით, რომ ყველა ეპოქას თავისი შუქ-ჩრდილები აქვს. დღევანდელი ახალგაზრდობა დიდი ცვლილებების ფონზე ყალიბდება და, რა თქმა უნდა, ნეგატივიც ბევრია და პოზიტივიც. მეც ამ თაობის შვილი ვარ და მომწონს ის.

ადამიანში ვაფასებ: მიზანდასახულობას, გულწრფელობას, სამართლიანობას. ყველაზე მეტად მაღიზიანებს, როცა აღმოვაჩენ – თუ ვინმე საკუთარი გრძნობების გამოხატვისას ყალბია...;

***– მომავალზე რას გვეტყვი...***

– მომავლის ჰორიზონტი საინტერესო ჩანს და სტიმულს მაძლევს. მთავარია იგი მირაჟი არ გამოდგეს. ვნახოთ – მე ოპტიმისტი ვარ...

***– აბა, წარმატებები...***

– მადლობა.

გარეჯელები

# პროექტები, რომლებიც წარმატებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის შესაძლებლობათა გამოსავლენად



ანა და ეთერი

**საგარეჯოს** მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და მისი აღსაზრდელების წარმატებულ საქმიანობაზე ჩვენს გაზეთს არაერთხელ მოუწოდებია ინფორმაცია დაინტერესებული მკითხველისათვის. მუდამ სიახლეთა ძიების, მათში წვდომისა და პრაქტიკულ საქმიანობაში განხორციელებისათვის სწრაფვის მეოხებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ეს სკოლა მუდამ იყო და არის ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის უმნიშვნელოვანესი კერა. ვინ მოთვლის იმ წარმატებულ ადამიანთა რიცხვს, რომლებსაც ამ სკოლის კედლებში გაუვლიათ და დღეს ქვეყნის საკეთილდღეო სამსახურში არიან ჩაბმულნი. ამ ბოლო წლებში სკოლის კოლექტივს ამ მამულიშვილურ საქმიანობაში დამხმარეებად მოევლინენ ამერიკელი „მშვიდობის კორპუსის“ წარმომადგენლები, რომელთა თანადგომით აქ მრავალი ისეთი პროექტი განხორციელდა, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის საზღვარგარეთული და ამერიკული სწავლა-განათლების საფუძვლების შეთვისებისა და ახლებურად აზროვნების ჩამოყალიბებაში. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი გახლავთ მოხალისე ქეთრინ ო,ნეილი, რომელიც საკმაო ხანია აქ მოღვაწეობს და არაერთ მნიშვნელოვან პროექტში მიაღებინა მონაწილეობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებსა და ლიდერთა კლუბის წევრებს. ეს ქალბატონი პირველი იყო მათ შორის, რომელმაც საქართველოში პირველად განახორციელა. ტექნოვაციების პროექტი, რომელშიც თბილისისა და ქვეყნის რეგიონების 15 სკოლის მ.შ. საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. კერძოდ, პროექტის განხორციელებაში ჩაბმული იყვნენ სკოლის ლიდერთა კლუბისა და ქალაქის ოთხივე საჯარო სკოლის მოსწავლეები: ანანო (ანნა) ქურხული, ეთერ ტეტიაშვილი, თამარ არაბული, თამარ გაგნიაშვილი და სალომე ჯაბადარი – პროექტის მიზანი გახლდათ ანდროიდი მობილური ტელეფონისათვის ისეთი აპლიკაციის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ადგილზე არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ.

ამერიკელი მოხალისეს დახმარებით ჯგუფის წევრებმა 20 დეკემბრიდან 23 აპრილამდე მოამზადეს სათანადო პროექტი, სათანადო ტექნიკური საშუალებების სიმწირის გამო შეძლეს მხოლოდ IV ადგილის დაკავება.

– მიუხედავად ასეთი შედეგისა, დიდად კმაყოფილი ვართ ამ პროექტში მონაწილეობით. შევიძინეთ დიდი ცოდნა და გამოცდილება, რაც დიდად დაგვეხმარება შემდგომ საქმიანობაში. ასევე დავათვალიერეთ ტექნოპარკში ახალგაზრდა ნიჭიერ ქართველ გამომგონებელთა ნამუშევრები, ორდღიანი ბანაკის რეჟიმში ვიყავით წყნეთის ინგლისურ სკოლაში, შევიძინეთ ბევრი ახალი მეგობარი, – იხსენებენ ანანო და ეთერი. – ასევე გვიხარია და გვეამაყება, რომ ამ პროექტის ავტორი ჩვენი სკოლის მოხალისე იყო, რომელიც ამ დღეებში მიფრინავს ამერიკაში ამ საკითხზე ტრენინგების ჩასატარებლად.

– მეორე პროექტი, რომელშიც მოსწავლე-ახალგაზრდობის ლიდერთა კლუბის წევრებმა ანანო ქურხულმა და ეთერ ტეტიაშვილმა მიიღეს მონაწილეობა თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ გამოცხადებული „მე ვიქნები ჩემი ქვეყნის მეგზური“ იყო, – საუბარს აგრძელებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი თამარ ჯაბადარი – პროექტი მიზნად ისახავდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობათა ტურისტული თვალსაზრისით დაინტერესებისა და გაცნობის მიზნით მასალების მომზადებას ქართულ და ერთ-ერთ უცხოურ ენაზე. ჩვენმა მოსწავლეებმა ამ ენად ინგლისური აირჩიეს. მუნიციპალიტეტში არსებული 300-ზე მეტი ისტორიული და რელიგიური ძეგლიდან მათ შეარჩიეს უჯარმის ციხე-კომპლექსი, კაწარეთის კომპლექსი, გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმი პატარძეულში, ნინოწმინდის კათედრალი, საგარეჯოს პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, მანავის ციხე და საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მათ აღნიშნულ ძეგლებზე მოიძიეს სათანადო ისტორიული წყაროები, რუკაზე დაიტანეს მათი ადგილმდებარეობა, შექმნეს ვიდეომასალა და გამოუშვეს ბუკლეტი, რაშიც მათ კონსულტაციებს აღნიშნული მუზეუმის დირექტორი ბადრი დრეიძე უწევდათ. პროექტის პრეზენტაცია ჩატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში, რასაც ამ სასახლის დირექტორი ქეთევან ფეიქრიშვილი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, კულტურისა და განათლების და სხვა სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს დედაქალაქისა და 13 მუნიციპალიტეტის სკოლების პროექტებში ***ანანო ქურხულისა და ეთერ ტეტიაშვილის ორი ქართულ-ინგლისურენოვანი 20 წუთიანი პრეზენტაცია ერთ-ერთ საუკეთესო და ამომწურავ პრეზენტაციად იქნა მიჩნეული,*** რაც ქვეყნის ორი ტელევიზიით, „იმედის“ ქრონიკისა და „მაესტროს“ მიერ გაშუქდა. პროექტის მონაწილეები კი „გაიცანი საქართველოს“ ლოგოიანი სამკერდე ნიშნებით, მაისურებითა და სხვა საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

პროექტის ავტორებმა და თამარ ჯაბადარმა ამ კუთხით მათი მომავალი მიზნებიც გამაცნეს. მათ აღნიშნული ძეგლების შესახებ გამოცემული აქვთ ბუკლეტები, რომელსაც თარგმნიან ინგლისურ ენაზე და უსასყიდლოდ გადასცემენ საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მისულ ტურისტებს, სადაც შეეძლებათ მათი გაცნობა და სურვილის შემთხვევაში ანანოსა და ეთერის მეშვეობით ამ ძეგლების მონახულება, რომლებიც როგორც ავტორები საუკეთესო გიდობას გაუწევენ მათ. გიდობა კი გარკვეულ ბიზნესთან არის დაკავშირებული, აქედან მიღებულ შემოსავალს ისინი სკოლის საჭიროებისათვის გამოიყენებენ, საერთო ჯამში კი ხელს შეუწყობენ საგარეჯოში ტურიზმის განვითარებასა და ჩვენი კუთხის საზღვარგარეთ პოპულარიზაციას. ვინ იცის, ამ გზით იქნება მათ გარეკახეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის საზღვარგარეთის ბაზრებზე დამკვიდრებასაც შეუწყონ ხელი, რაც ნამდვილად საშვილიშვილო საქმე იქნება ჩვენი ფერმერებისა და მოსახლეობისათვის.

# აქ ინტელექტუალებად, შემოქმედ ადამიანებად იზრდებიან, ყალიბდებიან



***აიპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ის ადგილია, რომელიც ჩვენი მომავალი თაობის შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენას, მათ ინტელექტუალურ განვითარებას და ბავშვობის, ახალგაზრდობის ხანის „ოქროს ხანად“ გადაქცევის შანსს აძლევს. დიახ, აქ ბოლო ათეული წლების განმავლობაში ასეულობით სკოლის მოსწავლესა თუ სტუდენტს წლები მართლაც რომ შინაარსიანად, ლამაზად და საინტერესოდ გაუტარებია. აქ ისინი ერთმანეთს ეცნობიან, უზიარებენ მოსაზრებებს, ეხმარებიან ერთმანეთს იმ გზების ძიებაში, რომელიც მათ შემდგომში ცხოვრების სწორ, მართალ, ჭეშმარიტ გზას აპოვნინებთ. ამ ყოველდღიურობაში კი მათ ამ სახლის დირექციის, აქ არსებულ კლუბთა ხელმძღვანელების შრომატევადი, მიზანმიმართული, დაუღალავი მუშაობა ეხმარებათ. სიმართლე ითქვას, ძნელია თითოეული კლუბის ხელმძღვანელის გამოცალკევება და ცალკე საუბარი, რადგან... რადგან ისინი ერთი მთლიანი, შეკრული გუნდია, ერთმანეთის, ბავშვების, ახალგაზრდების წარმატებებზე ორიენტირებულნი... შედეგიც ყოველთვის სახეზეა – აქ ყველას მოუხარია, აქ ხალისი, სისხლსავსე ცხოვრება, საინტერესო დღეები, თვეები ერთმანეთს მისდევს, აქ წარმატებებს წარმატებებზე ითვლიან. გვინდა თქვენც, ჩვენი გაზეთის ძვირფასო მკითხველო, გაგაცნოთ მათი საქმიანობაც და წარმატებებიც...***

**ცნობისათვის**: აიპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორია თამარ ჯაბადარი, პიროვნება, რომელსაც „ლომის წვლილი“ მიუძღვის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში იმ ატმოსფეროს შექმნისათვის, რომელიც მუნიციპალიტეტის მომავალ თაობას, ახალგაზრდობას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის, დედაქალაქის ახალგაზრდობასთან აკავშირებს, ხელს უწყობს შესაძლებლობათა რეალიზებას, ღრმად უნერგავს ურთიერთპატივისცემას, სიყვარულს და გარშემომყოფთათვის სიხარულის მინიჭებას.

***– ქ-ნო თამარ, საუბრის დასაწყისში იქნებ მოკლედ გაგვაცნოთ გაერთიანების დღევანდელი საქმიანობა, მიზნები...***

– საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლსა და დუზაგრამის ქართული ენის შემსწავლელ ცენტრს აერთიანებს. გარდა წრეობრივი საკლუბო მუშაობისა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ძალიან ბევრ საინტერესო პროექტშია ჩართული. ჩვენ გვყავს ამერიკის „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ქეთი ო'ნეილი, რომელიც ჩვენს შემოქმედებით გაერთიანებასთან ერთად ზრუნავს ჩვენს ორგანიზაციულ განვითარებაზე, მოაქვს საინტერესო პროექტები „ლიდერთა კლუბში“ გაერთიანებული 14-17 წლის ახალგაზრდებისათვის. ვთანამშრომლობთ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან და მათ მიერ შემოთავაზებულ პროექტებშიც ვიღებთ მონაწილეობას, ასევე ვმეგობრობთ და ვთანამშრომლობთ ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეასთან, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ბავშვების ნახატებიც იფინება.... ვთანამშრომლობთ მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლებთან და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ჩვენი შემოქმედებითი გაერთიანების მიერ ბევრი ღონისძიება ტარდება სხვადასხვა ასაკის სკოლის მოსწავლეთათვის.

ახალი წლის დასაწყისში საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი --„საახალწლო ზღაპარი”, - რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის,მხატვრული კითხვის კლუბის,/ ხელმძღვანელი --ოლღა მეხაშიშვილი/ ინგლისური ენის კლუბის/ ხელმძღვანელი თამარ მათიაშვილი /, „ლიდერთა კლუბის“ მოსწავლეები. საახალწლო ზღაპრის სცენარზე მუშაობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პროექტების, პროგრამებისა და მასობრივი ღონისძიებების დაგეგმვის სპეციალისტი ირინე დრეიძე და დირექტორის მოადგილე ნარგიზ ნადირაშვილი, კოსტიუმებსა და დარბაზის დიზაინზე იმუშავა „გოგონათა კლუბის” ხელმძღვანელმა ირინა თულაშვილმა, ხატვის კლუბის ხელმძღვანელმა მახარე მახარიკაშვილმა იზრუნა გაფორმებაზე... „საშობაო საჩუქარი”.. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე



საგარეჯოს საკვირაო სკოლის მოსწავლეები თავიანთ პედაგოგთან დარეჯან გილაშვილთან ერთად, ასევე ბავშვთა ვოკალური სტუდია „მი-რე-ლა” / ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი / ... საახალწლო ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობებისმქონე ბავშვები, რომლებისთვისაც „ლიდერთა კლუბის” მოსწავლეებმა აქცია მოაწყეს და ტკბილეული შეუძინეს...პატარა მაყურებელმა მონაწილეებთან ერთად მოილხინა. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირული ორგანიზაციის საგარეჯოს განყოფილების (თავმჯდომარე რომან ზუკაკიშვილი) დახმარებით შევძელით მონაწილე ბავშვებისთვის საახალწლო საჩუქრების გაკეთება...

***– ქ-ნო თამარ, „არტ-ბანაკი“ საინტერესო გამოდგა ჩვენი მოსწავლეებისათვის...***

– დიახ, 2016 წლის 11 – 14 იანვარს აქ



მიმდინარეობდა ზამთრის „არტ-ბანაკი”. ეს იყო პირველი მცდელობა ზამთრის დღის ბანაკის გაკეთების და ვფიქრობ, რომ ნამდვილად გაამართლა. ბანაკის მონაწილეებმა ლიდერებთან ერთად ისაუბრეს თეატრისა

გაგრძელება მე-7 გვერდზე

გარეჯელები

# აქ ინტელექტუალებად, შემოქმედ ადამიანებად იზრდებიან, ყალიბდებიან

**გაგრძელება**

და კინოს შესახებ, ნახეს ფილმი „ სამი კაკალი კონკიასათვის"... დღის მეორე ნახევარში მოამზადეს პერფომანსი ფილმის მიხედვით... 12 იანვარს დღის თემა იყო: ვან გოგი, ჩარლი ჩაპლინი... პერფომანსები თავისუფალ თემაზე... 13 იანვარს გაგრძელდა „საშობაო ბანაკი"-ს მუშაობა.. ბავშვებმა ლიდერებთან ერთად შექმნეს ნახატები თემაზე: „საშობაო საჩუქარი", ნახეს ფილმი „დამიძახე კლაუსი", ფილმის სიუჟეტის მიხედვით მოამზადეს პერფომანსები და დღე არაჩვეულებრივი ხალისიანი ფლეშმობით დამთავრდა... 14 იანვარს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დასრულდა „საშობაო ბანაკი" ... დღის პირველ ნახევარში ბანაკის მონაწილე



ბავშვებმა და ლიდერებმა ჩაატარეს ინტელექტთამაში თავისუფალ თემაზე, რომლის კითხვები მოამზადა უნიჭიერესმა ლიდერმა ანნა ქურხულმა... შემდეგ ნახეს ქართული მიუზიკლი „ლურჯი ფრინველი", რომლის მიხედვითაც ჯგუფებმა მოამზადეს პერფომანსები... დღის ბოლოს ბანაკის მონაწილეებს და ლიდერებს გადაეცათ დიპლომები.

***– საინტერესო და ემოციებით იყო დატვირთული ინტელექტთამაშები, რომლის მიმდინარეობით მასში მონაწილეთა მშობლები, მასწავლებლები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი...***

– მართლაც ასე იყო, თებერვალში ამჯერად აქ ჩატარდა .უმცროსკლასელთა რიგით მე–4 ინტელექტთამაში. მონაწილეობდა 8 გუნდი: საგარეჯოს № 1, № 2, № 3, № 4, წყაროსთავის, მზისგულის, პატარძეულის საჯარო სკოლებისა და პატარძეულის



ქართულ–ფრანგული სკოლა–ლიცეუმის. თამაშის თემა იყო „ვახტანგ გორგასალი", თამაშის გამარჯვებული 17 ქულით გახდა პატარძეულის საჯარო სკოლის გუნდი. 15–15 ქულით მე–2 ადგილი გაინაწილეს საგარეჯოს № 2, № 4 და წყაროსთავის საჯარო სკოლების გუნდებმა, მე–3 ადგილი 14 –14 ქულით დაიკავეს საგარეჯოს №1 და მზისგულის საჯარო სკოლების გუნდებმა.პატარძეულის ქართულ–ფრანგული სკოლა–ლიცეუმის გუნდმა მიიღო 13 ქულა და საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის გუნდმა —10 ქულა.

საინტერესო იყო უფროსკლასელთა რიგით მე–3 ინტელექტთამაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 1, № 3. პატარძეულის, მანავის, ხაშმის და ლიდერთა კლუბის ინტელექტგუნდები. 1–ლი ადგილი 16 ქულით დაიკავა საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის გუნდმა, მე–2 ადგილი 14 ქულით საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლამ დაიკავა, 12–12 ქულით მე–3 ადგილი წილად ხვდა მანავისა და პატარძეულის საჯარო სკოლებს, მე–4 ადგილი 9 ქულით დაიკავა „ლიდერთა კლუბმა", და ხაშმის საჯარო სკოლა 8 ქულით მე–5 ადგილზე გავიდა...

მარტში კი ჩატარდა უფროსკლასელთა რიგით მე-4 ინტელექტთამაში. თამაშის თემა გახლდათ „თეატრი" და ეძღვნებოდა თეატრის საერთაშორისო დღეს. მონაწილეობდნენ: საგარეჯოს № 1,პატარძეულის, ხაშმის და მანავის საჯარო სკოლების გუნდები. 12 ქულით 1-ლი ადგილი დაიკავა მანავის საჯარო სკოლის გუნდმა, მე-2 ადგილი 10 ქულით დაიკავა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდმა, 8 ქულით მე-3 ადგილზე გავიდა პატარძეულის საჯარო სკოლის გუნდი, ხოლო ხაშმის საჯარო სკოლის გუნდმა 6 ქულა მოაგროვა და მე-4 ადგილი დაიკავა...



მარტის ბოლოს ჩატარდა უმცროსკლასელთა რიგით მე-6 ინტელექტთამაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 1, № 2, № 4, პატარძეულის, კაკაბეთის, წყაროსთავის, გიორგიწმინდის, უდაბნოს, მზისგულის საჯარო და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის უმცროსკლასელთა ინტელექტგუნდები. თემა: „შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი". თამაში ძალიან საინტერესოდ წარიმართა... 17 ქულით 1-ლი ადგილი დაიკავა პატარძეულის საჯარო სკოლის გუნდმა, 16-16 ქულით მე-2 ადგილი დაიკავეს საგარეჯოს № 1 და კაკაბეთის საჯარო სკოლების გუნდებმა, 15 ქულით მე-3 ადგილი დაიკავა წყაროსთავის საჯარო სკოლის გუნდმა...

აქვე აღსანიშნავია, რომ რადგან გუნდებმა რიგგარეშე მოამზადეს პრეზენტაციები და მხატვრული ნომრები სპეციალურად აღნიშნულ თემაზე. ძალიან ამომწურავი და საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს საგარეჯოს № 4 და № 1 საჯარო სკოლების გუნდებმა, ხოლო მხატვრული ნომრები წარმოადგინეს წყაროსთავის, პატარძეულის, მზისგულის საჯარო სკოლებისა და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა -ლიცეუმის მოსწავლეებმა...

***– 70-ე საიუბილეო კონფერენციის მომზადებას წინ მართლაც დიდი შრომა უძღოდა...***

– ჩვენი მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის ინიციატივით საგარეჯოს № 2 საჯარო სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა 70–ე სასწავლო–შემოქმედებითი კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს ოთხივე, წყაროსთავის, მანავის, კაკაბეთის, პატარძეულის საჯარო სკოლებისა და პატარძეულის ქართულ–ფრანგული სკოლა–ლიცეუმის VIII-XII კლასების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. კონფერენციაზე მუშაობდა 18 საგნობრივი სექცია: ქართული ენის, ფოლკლორის, ქართული ლიტერატურის, უცხო ენების -ფრანგული ენის,მათემატიკის, ჟურნალისტიკის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, კინო-ფოტო ხელოვნების, ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის (ბიოლოგიის), ქიმიის, ფიზიკის, არქიტექტურის, გეოგრაფიის, ტურიზმის, ხელოვნებათმცოდნეობის, შემოქმედ მოსწავლეთა ძალიან საინტერესო და დახვეწილი ნამუშევრები იქნა წარმოდგენილი თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ სექციაში. სექციებს ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი პედაგოგები მუნიციპალიტეტის სკოლებიდან: ქეთევან ქვლივიძე, ნაზი ბერიძე, ეკატერინე ჭიკაძე–ვეშაპიძე, მარადი ქურდოვანიძე, ანა კევლიშვილი, გულნარი რევაზიშვილი, ნათელა სულიკაშვილი, ლელა გუშარაშვილი, სახელოვნებო სექციებს ხელმძღვანელობდნენ მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სახელოვნებო კლუბების ხელმძღვანელები: ნარგიზ ნადირაშვილი, ირინე დრეიძე და ბადრი დრეიძე. .მოსწავლეთა ნამუშევრები განხილვის შედეგად რეცენზირებული იქნა და გაიგზავნა ქ.თბილისში, მოსწავლე–ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, 70–ე საიუბილეო რესპუბლიკურ კონფერენციაზე. რაიონული კონფერენციის მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ კონფერენციის დიპლომები, ხოლო პედაგოგებსა და სექციების ხელმძღვანელებს გადაეცათ მადლობის ფურცლები...

23 აპრილს საქართველოს მოსწავლე–ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა 70–ე მოსწავლეთა სასწავლო–შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენცია, სადაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა, 9 პირველი ხარისხი, მე–2 ადგილი — 24, მე–3 ადგილი — 20, მადლობის ფურცლები — 20–მა პედაგოგმა მიიღო.

***– მეტად საინტერსო ღონისძიებებით იყო იყო დატვირთული აპრილის თვე, რომლის ემოციები ჩვენი პატარა ქალაქის მოსახლეობასაც გადაედო...***

– ასეა, 1 აპრილს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ხატვის დასწრებული ტური--„აღდგომა" , რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 2,№ 4,მანავის,გიორგიწმინდის,თოხლიაურის, პატარძეულის საჯარო სკოლებისა და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეზოსა და ოთახებში 80-ზე მეტი ბავშვი ხატავდა ფერადი ფანქრებით, აკვარელით, გუაშით... ძალიან საინტერესოდ მოხატეს პატარებმა კვერცხებიც... სააღდგომო გამოფენის ოფიციალური გახსნა და მონაწილეთა დაჯილდოება გაიმართა საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ა/წლის 14 აპრილს „დედა ენის" დღეს... საუკეთესო ნამუშევრები გაიგზავნა ქ.თბილისში, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში „სააღდგომო გამოფენაზე".

14 აპრილს გაიმართა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ენა დედაა ერისა"... ამავე დღეს საზეიმოდ გაიხსნა სააღდგომო გამოფენა, რომელიც მხატვარმა ნინო ჯანგულაშვილმა და მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნელი ბასილაშვილმა გახსნეს სადღესასწაულო კონცერტი გახსნეს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის მოსწავლეებმა მაკა ზალიკანიანმა და ნინი ოგანოვმა.... ღონისძიებას უძღვებოდა ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის" წევრი -- მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ დურგლიშვილი...ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს ბავშვთა ვოკალური სტუდიის „მი-რე-ლა"-ს მომღერლებმა თავიანთ პედაგოგთან ქალბატონ მარინა ურდულაშვილთან ერთად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ყანდაურის საჯარო სკოლის ბავშვთა ვოკალური სტუდიის „ჭიამაია"-ს მომღერლებმა --ხელმძღვანელი მაია სირბილაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. დუზაგრამის ქართული ენის შემსწავლელი ცენტრის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხატვრული კითხვისა და საბავშვო თეატრის მოსწავლეებმა... გამოფენაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს მე-2, მე-4, პატარძეულის, გიორგიწმინდის, მანავის, თოხლიაურის საჯარო სკოლებისა და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის ნორჩი მხატვრები და მათი პედაგოგები, რომელთაც გადაეცათ დიპლომები და მადლობის ფურცლები... ასევე სიგელებით და მადლობის ფურცლებით დაჯილდოვდნენ „დედა ენის" დღისადმი მიძღვნილი მხატვრული პროგრამის მონაწილენი.

23 აპრილს ქ. თბილისში, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში გაიმართა ტრადიციული სააღდგომო გამოფენა, რომელშიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ, კერძოდ საგარეჯოს № 4 საჯარო სკოლის მოსწავლეები—პედაგოგი ნელი ბასილაშვილი და პატარ-



ძეულის ქართულ–ფრანგული სკოლა–ლიცეუმის მოსწავლეეები—პედაგოგი ნინო შალვაშვილი.. მონაწილე ბავშვები და პედაგოგები დაჯილდოვდნენ ელენე ახვლედიანის სახელობის გალერეის მადლობის ფურცლებით და დიპლომებით.

23 აპრილს ქ.თბილისში „მშვიდობის კორპუსის" საქართველოს წარმომადგენლობის ოფისში გაიმართა პროექტის „ახალი ტექნოვაციები"-ს პრეზენტაცია, რომელსაც საგარეჯოში და საქართველოში ანხორციელებდა საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოხალისე ქეთი ო'ნეილი, და რომელშიც ჩვენი 5 „ლიდერი გოგონა" იღებდა მონაწილეობას. წარმოდგენილი იყო 7 პროექტი, ჩვენი გოგონების გუნდმა მე-4 ადგილი დაიკავა.

***– ნაყოფიერია და ინტერესს იწვევს „ლიდერთა კლუბის" მოსწავლეთა მუშაობა.***

– გეთანხმებით, 16-17 აპრილს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „ ლიდერ გოგონათა" ხუთეული მოხალისეებთან ქეთი ო'ნეილთან და ბეა ტიჩინსკისთან ერთად პროექტის „ ახალი ტექნოვაციები" ფარგლებში იმყოფებოდნენ ბაქსვუდის სკოლაში, წყნეთში, ორდღიან შეკრებაზე.

***– მოსწავლეებს სტუმრების მიღებაც სჩვევიათ...***

– 18-19 აპრილს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს სტუმრობდნენ მაკენზი ქუქი და შონ ფრედერიქსი --„მშვიდობის კორპუსის" 2010-2012 წლის მოხალისეები ახალციხეში; ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომელბმაც ამერიკაში დაბრუნებისას შექმნეს სწრაფი კვების ობიექტი ბორბლებზე, ორეგონის შტატში, ქალაქ პორტლენდში და მას „კარგი გოგო „ დაარქვეს. აქ ისინი ამზადებენ ქართულ კერძებს და პოპულარიზაციას უწევენ ქართულ სამზარეულოს და კულტურას. 2016 წლის აპრილ-ივნისში მათ იმოგზაურეს საქართველოს ყველა კუთხეში, შეისწავლეს თითოეული კუთხისათვის დამახასიათებელი კერძების მომზადება. ეს ორი დღე ჩვენთანაც ამ მიზნით სტუმრობდნენ. მათი სახით კიდევ საინტერესო მეგობრები შევიძინეთ ამერიკაში.



დასასრული შემდეგ ნომერში




# სუდოკუ

## მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 1 | | | 5 | 3 | |
| | | 1 | | | | 4 | 9 | 6 |
| | 9 | | 5 | 3 | 6 | | | |
| | | | | 1 | 3 | 8 | | 4 |
| | | 3 | | 2 | | 9 | | |
| 1 | | 9 | 7 | 8 | | | | |
| | | | 4 | 9 | 7 | | 5 | |
| 9 | 8 | 6 | | | | 7 | | |
| | 5 | 7 | | | 8 | | 2 | |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 5 | | 7 | 3 | | |
| | | 4 | | 1 | | 7 | | |
| | | 7 | | | | | 1 | 2 |
| 7 | 5 | | 9 | | | | 6 | |
| 1 | | | | 7 | | | | 9 |
| | 2 | | | | 5 | | 7 | 8 |
| 9 | 7 | | | | | 2 | | |
| | | 5 | | 8 | | 6 | | |
| | | 1 | 6 | | 2 | | 5 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | 1 | | 3 | | 6 |
| | | | 5 | | | | | |
| 7 | | 4 | | | | | 5 | |
| | 8 | | 7 | | | | 1 | |
| 6 | | | | 9 | | | | 2 |
| | 7 | | | | 4 | | 9 | |
| | 9 | | | | | 1 | | 8 |
| | | | | | 2 | | | |
| 2 | | 8 | | 7 | | | | 9 |

„გარეჯის მაცნე“
№12-ში
გამოქვეყნებული
სუდოკუს
პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 6 | 1 | 9 | 4 | 2 | 3 | 5 |
| 4 | 9 | 3 | 2 | 5 | 8 | 1 | 6 | 7 |
| 5 | 1 | 2 | 7 | 3 | 6 | 4 | 9 | 8 |
| 8 | 7 | 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 5 | 9 |
| 1 | 6 | 5 | 9 | 8 | 7 | 3 | 2 | 4 |
| 3 | 2 | 9 | 6 | 4 | 5 | 8 | 7 | 1 |
| 2 | 5 | 1 | 4 | 6 | 9 | 7 | 8 | 3 |
| 9 | 3 | 7 | 8 | 1 | 2 | 5 | 4 | 6 |
| 6 | 4 | 8 | 5 | 7 | 3 | 9 | 1 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 4 | 9 | 8 | 7 | 2 | 1 | 3 |
| 8 | 7 | 3 | 5 | 1 | 2 | 4 | 6 | 9 |
| 1 | 2 | 9 | 4 | 3 | 6 | 7 | 8 | 5 |
| 6 | 4 | 1 | 3 | 5 | 9 | 8 | 2 | 7 |
| 3 | 9 | 8 | 2 | 7 | 1 | 6 | 5 | 4 |
| 2 | 5 | 7 | 8 | 6 | 4 | 9 | 3 | 1 |
| 7 | 8 | 6 | 1 | 4 | 3 | 5 | 9 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 6 | 9 | 5 | 1 | 7 | 8 |
| 9 | 1 | 5 | 7 | 2 | 8 | 3 | 4 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 6 | 4 | 3 | 7 | 8 | 5 | 2 |
| 3 | 5 | 4 | 9 | 8 | 2 | 6 | 7 | 1 |
| 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 6 | 4 | 9 | 3 |
| 1 | 9 | 3 | 8 | 7 | 4 | 5 | 2 | 6 |
| 4 | 6 | 8 | 2 | 9 | 5 | 3 | 1 | 7 |
| 2 | 7 | 5 | 6 | 1 | 3 | 9 | 4 | 8 |
| 5 | 2 | 9 | 7 | 6 | 8 | 1 | 3 | 4 |
| 6 | 3 | 7 | 5 | 4 | 1 | 2 | 8 | 9 |
| 8 | 4 | 1 | 3 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 |

# სპორტი

## ჩვენებური კარატეში ევროპის ჩემპიონია

**დავით (უმცროსი) ლაფაჩიშვილი**

**სიმართლე** გითხრათ, სპორტის ერთადერთი სახეობა, რომელსაც ვერ ვუყურებ და სპორტის სახეობადაც ძნელად აღვიქვამ, ეს კარატე გოჯუ-რიუა. ჩემთვის ის საბრძოლო ხელოვნებად აღიქმება, თუმცა მიმაჩნია, ყველა მოზარდი უნდა დაეუფლოს მის ტექნიკას – თავდაცვისა და თუნდაც შეტევაზე მზადყოფნისათვის. იაპონურად ეს სიტყვა ასე ითარგმნება – „ძლიერი და რბილი სტილი". როგორც სპეციალისტები გვიხსნიან, ეს ერთ-ერთი ოკინავური კარატეს სტილია, რომელიც მოიცავს ძლიერი და რბილი ტექნიკის შერწყმასო. ძლიერი და რბილი პრინციპი კი თურმე სათავეს იღებს საბრძოლო ხელოვნების წიგნიდან, რომელსაც ბუბიში ჰქვია და რომლითაც ოკინაველი ოსტატები IX-X საუკუნეებიდან სარგებლობენ. გოჯუ-რიუში ყურადღება ექცევა სწორ სუნთქვას, იყენებს ადამიანის შინაგან ენერგეტიკას ახლო მანძილიდან ბრძოლის წარმოებისათვის, მნიშვნელობას ანიჭებს სწორხაზოვან მოქმედებას, ცირკულარულ ილეთებს, რომელშიც შედის ბლოკები, მოწინააღმდეგის გაკონტროლება, მიწოლა, გადაგორება, დაგდება და ა.შ. როგორც სპორტის ამ სახეობაში გარკვეულები მიხსნიან, გო – ძლიერს ნიშნავს, მოიცავს დახურული ხელის ტექნიკას ან პირდაპირ გამართულ სწორხაზოვან თავდასხმას. ჯიუ – რბილი, მოიცავს ღია ხელის ტექნიკას და ცირკულარულ წრიულ მოქმედებას... თანაც აქ უდიდესი მნიშვნელობა ექცევა გონებას, სხეულის ცირკულაციას, სუნთქვას, აზროვნებას, ტექნიკას, ფეხების, ხელების მოძრაობას, რაშიც დიდ როლს ასრულებს თვალი და ყური... ვიდეოჩანაწერის ყურებისას, მე, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენელმა თვალი თამამად ვერაფრით მივადევნე...

ყოველივე ამის შემდეგ კი მეტი პატივისცემა ვიგრძენი იმ ჩვენი თანამემამულის მიმართ, ვინც სპორტის ამ სახეობას მისდევს და დიდი ნატვრით შევნატრე მისი ოჯახის წევრებს – მოთმინებისა და ნებისყოფისათვის.

დავით (უმცროსი) ლაფაჩიშვილი ყველა საგარეჯოელისათვის კარგად ნაცნობი, დიდი მომავლის მქონე სპორტსმენია, რომელიც წლებია გოჯუ-რიუ კარატეს მისდევს (დავითი თბილისის 77-ე საჯარო სკოლის მოსწავლეა, ფესვები კი საგარეჯოსთან აკავშირებს). მას 6 ივლისს 14 წელი შეუსრულდა და ამ ასაკისთვის უკვე 44 სხვადასხვა სინჯის მედალი აქვს, არის შავი ქამრის და პირველი დანის მფლობელი. გაგიკვირდება და ... ცოტა არ იყოს დაგეეჭვება კიდეც, როგორ შეძლო, როდის მოასწრო ამ მცირე დროში სამჯერ ევროპის, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონის სახელის და ერთხელაც მსოფლიო თასის მოპოვება. ივნისის ბოლოს ბათუმში ჩატარებულ ევროპის ღია პირველობის საყურებლად მოსული გულშემატკივარი მართლაც ძალიან გააოცა. პირველ დღეს კატაში ვერცხლის მედალს დაეუფლა, მეორე დღეს (26 ივნისს) კი უკვე „ჩხუბში" გახდა ევროპის ჩემპიონი 13-დან 16 წლამდე ასაკში. მაყურებელმა ეს გამოსვლა სენსაციად მიიღო – პირველი შეხვედრა 10 წამში მოიგო ნოკაუტით – ფეხი გამოიყენა. დიახ, ნოკაუტით რუს მოჩხუბარს მოუგო.

ბათუმის ღია ჩემპიონატში 15 ქვეყნის 400 სპორტსმენი სხვადასხვა ასაკის მიხედვით იღებდა მონაწილეობას. ეს გამარჯვება მის გულშემატკივრებს არც გაჰკვირვებიათ, ისინი წლებია თვალყურს ადევნებენ მის შრომისმოყვარეობას, ნებისყოფას, შემართებას, მიზანდასახულობას და სჯერათ, ის დიდ წარმატებებს მიაღწევს, რისთვისაც მას ყველანაირი მონაცემები აქვს. ამ ასაკში ისე აქვს თითოეული მოძრაობა შესისხლხორცებული, ისეთი სწრაფი რეაქცია აქვს, როგორც სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემლები ამბობენ, ამ ასაკში ბრუსლის მიერ ნაჩვენებ შედეგებს ბევრად სჯობიაო. ამიტომაც იყო, სამი თვით უკონაქტო კარატეში მისი ვიცე-პრეზიდენტის ბესო თედიაშვილის მიერ „გადაბირებამ" ნაყოფი ვერ გამოიღო, დავითს გოჯი-რიუს მომავალი ვარსკვლავობისათვის თავად მისი მონაცემები ამზადებს და არის და იქნება იქ, სადაც თავს თავისუფლად და თავის ამპლუაში იგრძნობს. ეს ბათუმის ევროპის ღია ჩემპიონატმაც აჩვენა – მალე დავით (უმცროსი) ლაფაჩიშვილი სერიოზულ სიტყვას იტყვის სპორტის იმ სახეობაში, რომელსაც ჩინელები და იაპონელები თავიანთ საბრძოლო-სპორტულ ხელოვნებას უწოდებენ...

ერთი რამ აშკარაა – დავით (უმცროსი) ლაფაჩიშვილს ორთაბრძოლაში ქართველებისათვის უფლისგან ბოძებულ თანდაყოლილ საბრძოლო უნართან ერთად ის გენეტიკური კოდიც ეხმარება, რომელიც მას საგვარეულო ნიშად აქვს – ჭიდაობა, კინგბოქსინგი, ქორეოგრაფია, და რაც მთავარია, ქართველობა.

ვულოცავთ დავით (უმცროსი) ლაფაჩიშვილს ამ დიდ გამარჯვებებს, დაბადების დღეს და წარმატებებს და ამ გამარჯვებების დამაგვირგვინებელ – გოჯი-რიუ კარატეს მეფის გვირგვინის მოპოვებას ვუსურვებთ!

*თ. გიორგაძე*

# ფეხბურთი

## შეტევაზე პატარა გარეჯელები არიან

**აიპ** „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" ფეხბურთის გუნდი „გარეჯი-2003" მწვრთნელებმა რეზო ხებრელაშვილმა და დათო მაისურაძემ ამ ოთხი წლის წინ ჩამოაყალიბეს. ჩამოყალიბების მეორე წლიდან პატარა გარეჯელები აქტიურად ჩაებნენ ვლადიმერ ბარქაიას სახელობის საქართველოს ჩემპიონატში 2003 წლიან ბავშვებს შორის, სადაც V ადგილის დაკავება შეძლეს. მომდევნო წელს კი სატურნირო ცხრილში 1 ნაბიჯით აინაცვლეს და IV ადგილი დაიკავეს. უფრო წარმატებული გამოდგა ჩვენი პატარა ფეხბურთელებისათვის მიმდინარე სეზონი. 25 თამაშიდან 19 მოგებით, 4 წაგებით და 1 ფრით დამთავრების შემდეგ 58 ქულა დააგროვეს, რითაც III საპრიზო ადგილის დაკავება შეძლეს. ამ შედეგით ისინი 4 ქულით ჩამორჩებიან ტურნირის ჩემპიონს „ლომებს". II ადგილზე გასულ „აფხაზეთი-1-ს" კი 2 ქულით. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ „ლომებთან" საშინაო შეხვედრა გარეჯელებმა ფრედ დაამთავრეს, ხოლო საპასუხო შეხვედრა მინიმალური ანგარიშით 1:0 დათმეს. რაც შეეხება „აფხაზეთი-1" -თან შეხვედრებს, აქ, საგარეჯოში 2:0 შეძლეს სტუმრების დამარცხება, გასვლითი მატჩი კი 2:1 წააგეს. ეს შედეგები კი იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს პატარა ფეხბურთელებს ძალუძთ ტურნირის ჩემპიონობაზეც განაცხადონ პრეტენზია. ეს რომ ასეა, ამაში საფეხბურთო კლუბ „ლომების" სტადიონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ჩემპიონატის მონაწილე გუნდების დაჯილდოებაზეც აღინიშნა, სადაც „გარეჯი-2003" საქართველოს რეგიონების ყველაზე პერსპექტიულ გუნდად დასახელდა, რადგან ჩემპიონატში მონაწილე ამ გუნდებიდან საპრიზო სამეულში მხოლოდ ისინი შევიდნენ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ გუნდის რამდენიმე მოთამაშე ასაკით უმცროსები არიან, კერძოდ, მეკარეები გიორგი ბედიაშვილი და რატი ხოშტარია 2005 წლიანებში არიან და 2003 წლიანთა თამაშებში იღებენ მონაწილეობას.

ახლა კი იმათ შესახებ ვისაც ამ წარმატებაში მიუძღვით წვლილი. ისინი არიან დაცვაში – **გიორგი ჯინჯიხაძე, გიორგი სულიკაშვილი, ილია ივანიაშვილი, ნიკა მეკოკიშვილი, გიორგი ლაპიაშვილი, ლაშა კერატიშვილი (გუნდის კაპიტანი), ნიკა მაისურაძე, შაკო ღრუბელაშვილი, დაჩი ჭყონია; თავდამსხმელები: გიორგი ჯანიბეგაშვილი, ჯონი ლაფერიშვილი, დაჩი მათიაშვილი, ავთანდილ ჭიკაძე, ჯანო ნარიმანიძე, საბა ბაქარაშვილი, გიორგი ბასიშვილი.**

როგორც ჩვენთან საუბარში გუნდის მწვრთნელმა რეზო ხებრელაშვილმა აღნიშნა, საპრიზო სამეულში შესვლის პარალელურად 2 ივნისიდან დაიწყო კახეთის ნაკრების კანდიდატთა შესარჩევი ციკლი, რომელშიც 5 გარეჯელი მოთამაშე: ნიკა მაისურაძე, ლაშა კერატიშვილი, გიორგი ბედიაშვილი, შალვა ღრუბელაშვილი და ნიკა მეკოკიშვილი იღებდნენ მონაწილეობას. მათგან კახეთის ნაკრების თელაველმა მწვრთნელმა მხოლოდ ნიკა მეკოკიშვილს „ჩაურთო მწვანე შუქი" სამაგიეროდ ნაკრებში 9 თელაველი აიყვანა. ამ ინციდენტზე გარეჯელთა მწვრთნელი გულს იმით იოხებს, რომ შარშან ქობულეთის შეკრებებზე „გარეჯი-2003"-ელებმა თელაველებს 8 ამხანაგური შეხვედრა მოუწყეს და რვაშივე დაამარცხეს, ხოლო გიორგი ბედიაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ასაკით პატარაა და გაისად მაინც გარანტირებული აქვს ნაკრებში მოხვედრა.

ახლა „გარეჯი-2003"-ის ფეხბურთელები და მწვრთნელები ინტენსიურად ემზადებიან ქობულეთის 2003 წლიან ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირისათვის, სადაც მოწვეული არიან სომხეთის, აზერბაიჯანის, და ბალტიისპირეთის პატარა ფეხბურთელები. ტურნირი 14 ივლისს დაიწყება და საპრიზო სამეულში მოხვედრილი გუნდები სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ.

P.S. წარმატებით დაასრულეს თავიანთი საფეხბურთო სეზონი რეზო ხებრელაშვილისა და დათო მაისურაძის 2004 წლიანმა „გარეჯელებმაც". ეს პატარა ფეხბურთელები პირველი წელია მონაწილეობას იღებენ გიგა ნორაკიძის სახელობის ტურნირში და ამის მიუხედავად IV ადგილის დაკავება შეძლეს. 20 თამაშიდან 12 მოგება, 3 ფრე, 4 წაგება და 39 ქულა – ასეთია მათი შედეგი ამ სეზონზე.

# ქართული ჭიდაობა

## კაკაბეთში

**10 ივლისს** კაკაბეთის ღია საჭიდაო არენაზე ჩატარდა აქაური ცნობილი ფალავნის, სამბოში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის უშანგი კუზანაშვილის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ამჯერად ტურნირის ორგანიზატორი საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია გახლდათ. ჩვენი სახელოვანი ფალავნის ტურნირში მონაწილეობის მისაღებად კაკაბეთში ჩამოვიდნენ თბილისის, ხაშურის, ქარელის, გორის, ჭიათურის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, საგარეჯოსა და სხვა მუნიციპალიტეტების მოჭიდავეები. შეჯიბრების მთავარი მსაჯი ჩვენი თანამემამულე, სამბოში მსოფლიო ჩემპიონი ვალერი პარუნაშვილი გახლდათ და დაწესებული იყო ფულადი პრიზები – პირველი ადგილისათვის – 250, II – 150 და III ადგილისათვის – 100 ლარი.

საგარეჯოელი მოჭიდავეებიდან თანასოფლელის სახელი არ შეურცხვენია და ***ტურნირის ჩემპიონი*** გახდა ცნობილი კაკაბელი ძიუდოისტი **კობა მჭედლიშვილი,** რომელსაც ფინალში ტრავმის გამო მეტოქე არ გამოუცხადდა. დიდების ასაკში III საპრიზო ადგილისათვის ჭიდაობდნენ ჩვენი ახალგაზრდა ფალავნები – **ლაშა მათიაშვილი და ელდარ ჯიქიძე**, მაგრამ გამოუცდელობისა და არაობიექტური მსაჯობის გამო საბოლოოდ **IV ადგილზე** აღმოჩნდნენ.

## ყვარელში, როინ მაღალთაძის ტურნირზე

**17 ივლისს** ყვარელში ჩატარდა იქაური ძიუდოისტის, ევროპის ჩემპიონ როინ მაღალთაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 1999-2000 წლიან ჭაბუკებს შორის. ასპარეზობაში საქართველოს სხვა მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" ამ წლიანი ფალავნებიც. მათგან ტურნირის **ჩემპიონი** გახდა 55 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ნოდარ ქურხული.**

საგარეჯოელმა ფალავნებმა არავის დაუტოვეს 60 კგ წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილი. ამ წონაში იმარჯვა და **ჩემპიონი** გახდა **ნიკა ბასილაშვილი,** მომდევნო მეორე ადგილზე გავიდა **დავით კუჭუაშვილი,** მესამეზე – **ამირან დარბაისელი.**

73 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა **ლაშა მათიაშვილი, გიორგი მღებრიშვილი** კი III საპრიზო ადგილზე გავიდა 66 კგ წონით კატეგორიაში.

საგარეჯოელთა გუნდი ამ შეჯიბრებისათვის მოამზადა სპორტგაერთიანების მთავარმა მწვრთნელმა **მამუკა მათიაშვილმა.**

# ფალავანთა მხარე

## ძიუდო

## გოგონებმა ხელვაჩაურშიც გვასახელეს

**ჩვენი** მკითხველი და ძიუდოს საგარეჯოელი გულშემატკივრები ალბათ უკვე მიეჩვივნენ იმ წარმატებებს, რასაც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" მწვრთნელ ლუდა ფერაძის ძიუდოისტი გოგონები აღწევენ ქვეყნის თუ საერთაშორისო მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებში. ამასწინათ კი მათ მორიგი წარმატება იზეიმეს. 9-10 ივლისს ხელვაჩაურში გამართულ ღია პირველობაში, სადაც საქართველოს სხვადასხვა ასაკის გოგონებთან ერთად მათი პოლონელი თანატოლებიც ასპარეზობდნენ, შვიდი I ადგილი, 8 – მეორე და 2 მესამე ადგილის დაკავება შეძლეს. აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა მათგანმა ორ ასაკობრივ ჯგუფში (დიდებში და პატარებში) მიიღო მონაწილეობა და ორივე ასაკში გახდა ჩემპიონი. ასეთები არიან 40 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე სალომე გულისაშვილი და 44 კგ წონით კატეგორიაში – სალომე ბლიაძე, რომელთაც ხელვაჩაურის ტატამზე ორ-ორი ოქროს სინჯის მედლის მოპოვება შეძლეს.

ხელვაჩაურიდან ასევე ოქროს მედლებით დაგვიბრუნდნენ საგარეჯოში ლალი ხოსიტაშვილი (32კგ), თამთა სუხიაშვილი (28კგ), ნატალია ყიფშიძე (48კგ); ვერცხლის მედლების და II საპრიზო ადგილების მფლობელები გახდნენ (პატარების და დიდების ასაკში): მარიამ ხოსიტაშვილი (28კგ), მარიამ ლაფაჩიშვილი (48კგ), ნელი გულისაშვილი (70კგ), ვარდიკო ბუჩაშვილი (44კგ), თაკო ნადარეიშვილი (70კგ), ხათუნა თვაური (52კგ), თინიკო რევაზიშვილი (57კგ), ანა ასანიშვილი (44კგ); მესამე პრიზიორები გახდნენ ლილე ხარანაული (52კგ) და ნინო ლოლაძე (44კგ).

## ჭადრაკი

## „ბათუმის მერიის თასი-2016"-ზე

## ასპარეზობდნენ ნორჩი საგარეჯოელი მოჭადრაკეები

**1-12 ივლისს** ბათუმში ჩატარდა II საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმის მერიის თასი-2016". თასის გათამაშებაში საქართველოს 8-10 და 12 წლიან მოჭადრაკეთა გარდა მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, უკრაინის, თურქეთის ამ ასაკის გოგონები და ვაჟები, მათ შორის აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" აღსაზრდელები.

8 წლამდელ გოგონებში საგარეჯოელთაგან მონაწილეობას იღებდა მწვრთნელ ნანი უნაფქოშვილის აღსაზრდელი ნინო ესაიაშვილი, 10 წლამდელ ბიჭებში – ზუკა გამრეკელაშვილი (მწვრთნელი ირ. ქვლივიძე), 12 წლამდელ ჭაბუკებში – ლევან დალბაშვილი (მწვრთნელი ელ. ფარეშიშვილი).

პირველი ფესტივალიდან განსხვავებით წელს თასის გათამაშებაში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, რის გამოც წარმატებული სტარტის მიუხედავად ჩვენს მოჭადრაკეებს გაუჭირდათ მეტოქეებთან გამკლავება და საპრიზო ადგილზე მოხვედრა.

ბოლოსწინა ტურში მარცხისა და ბოლო ყაიმის შედეგად, რასაც წინ 4 მოგება უძღოდა, **ნინო ესაიაშვილმა** 6 ქულა დააგროვა და დაიკავა IV ადგილი. 54 მონაწილეს შორის 5,5 ქულით XI ადგილზე გავიდა **ზუკა გამრეკელაშვილი.**

12 წლამდელ ჭაბუკებში კი **ლევან დალბაშვილი** V ადგილის მფლობელი გახდა.

*გ. დაბახიშვილი*

## კრივი

**13-17 ივლისს** აჭარაში, ქ. ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კრივში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ბელორუსის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და საქართველოს რეგიონებიდან წარმოდგენილი მოკრივეები. ტურნირში აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" კრივის სექციის (მწვრთნელი ზურაბ იმნაძე) მოსწავლეებიც იღებდნენ მონაწილეობას. **III ადგილები** დაიკავეს **ტრისტან ფილაურმა, გიორგი კოხტაშვილმა და ნიკოლოზ კუჭუაშვილმა**

# მილოცვა





**დაბადების** დღეს ვულოცავთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსს ეკა ტაბატაძეს***. ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს და ბედნიერებას თავის საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად, წარმატებებს საზოგადოებრივ და სამსახურებრივ საქმიანობაში.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო*

## ნატალია ახალკაციშვილს



**ჩვენო** ძვირფასო, თბილო და მოსიყვარულე ადამიანო, გილოცავთ დაბადების დღეს. უფალმა ჯანმრთელი და ბედნიერი გამყოფოს მთელი ცხოვრება. უამრავი ბედნიერი და სიხარულით სავსე დღეები გქონოდეს. ძალიან გვიყვარხარ.

*საქართველოს პარლამენტის წევრის, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები*



**დაბადების** დღეს ვულოცავთ ***აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ დირექტორს ბია ბედიაშვილს***. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას პირად ცხოვრებაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

*პატივისცემით თანამშრომლები*

# მადლობა

**მადლობას** ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი გზირიშვილს** ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

*გამგებლის წარმომადგენელი სოფელ მანავში და მანავის „გორხანისუბნის“ მცხოვრებნი*

# განცხადება

## შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ გაცნობებთ

**აბონენტთა** მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს აღრიცხვის სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი. 2016 წლის ივნისის თვიდან აბონენტები ინფორმაციას ბუნებრივი აირის დავალიანების შესახებ, მიიღებენ საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე, SMS შეტყობინების სახით. გთხოვთ, ყურადღებით მოეკიდოთ აღნიშნულ სიახლეს.

გვინდა შეგახსენოთ საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილების „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“, თავი II; მუხლი 10; პუნქტი 10: „ქვითრის არ მიღება მომხმარებელს არ ათავისუფლებს მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან“.

*შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს კახეთის რეგიონალური ოფისის ადმინისტრაცია*

## შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ კახეთის რეგიონალური ოფისი გაფრთხილებთ:

**გაუმართავი** გაზის ხელსაწყოების და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსოში მხუთავი აირის CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამვლელია. გარემოში CO-ს 0,5%-ის დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1 % შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.

უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

– ამასთან დაკავშირებით **კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

**ნუ მიანდობთ** გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია.

– **იყავით ყურადღებიანი** გაზის ხელსაწყოების ხმარების დროს, არ დატოვოთ უმეთვალყურეოდ ჩართული ხელსაწყო (გარდა იმ ხელსაწყოებისა, რომლებიც გათვლილია უწყვეტ მუშაობაზე და აღჭურვილია შესაბამისი უსაფრთხოების ავტომატით), არ აწარმოოთ თვითნებურად მიერთება ხელსაწყოებისა; არ იხმაროთ ხელსაწყო (კალონკა) თუ არ არის წევა კვამლსადენში.

– იქონიეთ გაზის ქურა სუფთად, განსაკუთრებით სანათურები. არ მიუშვათ მასთნ მცირეწლოვანი ბავშვები და პირები არაფხიზელ მდგომარეობაში, ასევე პირები, რომლებიც არ ფლობენ ხელსაწყოების ხმარების წესებს.

## მოსახლეობას ეკრძალება:

**შეიტანოს** ცვლილებები გაზის ხელსაწყოების კონსტრუქციასა და გაზსადენებში, გამორთოს მარეგულირებელი და უსაფრთხოების ავტომატიკა, შეცვალოს კვამლსადენებსა და სავენტილაციო სისტემების მოწყობილობა.

– სათავსოების გამოყენება ძილისა და დასვენებისათვის, სადაც განთვსებულია გაზის ხელსაწყოები.

– ღია ცეცხლის გამოყენება გაზის გაჟონვის აღმოსაჩენად (ამ მიზნისათვის გამოიყენება საპნის ემულსია ან სპეციალური ხელსაწყოები) გაზსადენებიდან და გაზის ხელსაწყოებიდან.

## კატეგორიულად აკრძალულია:

**საცხოვრებელ** სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისათვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსოდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსოშივე რჩება).

**გახსოვდეთ!**

ძირითად პირობას ხელსაწყოების (კალონკის) უსაფრთხო სარგებლობისთვის წარმოადგენს კვამლსადენში კარგი წევა. ცუდი წევის და საერთოდ წევის უქონლობის დროს ხელსაწყოთი (კალონკით) სარგებლობა აკრძალულია.

ზამთრის პერიოდში შენობების მფლობელებმა პერიოდულად უნდა დაათვალიერონ კვამლსადენი მათი მოყინვისა და საცობის თავიდან აცილების მიზნით.

## გახსოვდეთ, რომ:

**პასუხისმგებლობა** საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრება მომხმარებელს.

## გთხოვთ დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები

**ცხელი ხაზი 16114**

**საგარეჯოს** სერვის ცენტრის საავარიო-საექსპლუატაციო სამსახური 577 10 58 30.

# „ჯარში იყო ჩვენი შვილიო?!“

**გასული** საუკუნის 70-იანი წლების ზაფხულის ახლად სინათლე შეპარული დილაა. საგარეჯოს კოლორიტი „აფია“, იგივე ამირანა, გომს ასუფთავებს. იქვე, ეზოს მისნაირივე კოლორიტი მისი ცოლი მანია ეზოს გვის (ორივე მშრომელი, საგარეჯოელებისათვის საყვარელი ადამიანები იყვნენ, თავიანთი სტუმართმოყვარეობით და იუმორით...მაგრამ ორივე ენაბლუ იყო. სხვას თუ არ ესმოდა მათი, ერთმანეთის კარგად ესმოდათ). ჩუმად შემოიპარა მათი ერთადერთი ვაჟი ეზოში, ჩანს წუხელ სახლში არ ყოფილა. შვილის დანახვაზე მანიამ ცოცხი გააგდო და დოინჯშემოყრილი წინ გადაუდგა: „წუხეის სად იყავი, ბიჭო?“ – გაბრაზებული უყურებს. მისი ბიჭი დაიბნა: – სად ვიყავი და ჯარის ამხანაგი შემხვდა, დავლიეთ და დედამისმა მანქანით აღარ გამომიშვა, ნასვამი ხარო, მე კიდე ფეხით ვეღარ წამოვედიო.

– გაიხაროს დედამისმა, უყურე, ქა, რა კარგი ქალი ყოფილა?!.. – და გზა უტია შვილს. ის იყო შვილმა კიბეები აიარა და დედის ხმა ესმის.. – ამიან-ამიან, – ეძახის ქმარს. „რა იყო,“ – გომურის კარებში ამირანა გამოჩნდა. – ამიან, ჩვეი შვიი ჯაში იყოო?! – ეკითხება დაეჭვებული მანია.

– რავი, აქ შენი ჯიში და იქ მაგისი, სამკუთხა ბაათი (ბარათი) ჩვენთან მოსული არ მინახავს და შენ კიდევ „პასილკით“ ხელშიო (სამხედრო სამსახურში მყოფებს მშობლები და ახლობლები შორეულ რესპუბლიკებში ამანათებს უგზავნიდნენ ხოლმე)... შეუკურთხა ამირანამ სახლის კიბეებზე შორიდანვე „სირენებჩართულ“ მანიას.

### გასაყიდი ძროხა

**მანიას** ძროხა ჰყავს, დიდი, წითელი, მატარებლის შემადგენლობას მოწყვეტილი ვაგონივით უზარმაზარი. იწველება დღეში 2-ჯერ, მაგრამ რძე კი არა, კარაქია, – კარაქი რად მინდა, შე ოხერო, – ყოველ დილა-საღამოს სწყევლის მანია ძროხას, – რძე მინდა, რძე. და ერთ დღეს ნათესავები ააწრიალა, როგორმე შორს გამაყიდინეთ, ისე შორს, კარაქს რომ მოიწველის, უკან წამოყვანა სიშორის გამო დაეზაროთო.

# გარეჯული იუმორი

ერთი ოხუნჯი სიძე ჰყავს მანიას ძმას, „სისხლს უშრობს“, დასცინის ხშირად. ერთ დღესაც ბალახით გატენილი ტომარაწამოკიდებული და ძროხის საბელით ხელში მანია შეისწრო ეზოს შესასვლელთან, მანქანა ისე გააჩერა, მანიას მზე პირდაპირ თვალებში არეკვლოდა (ბოლო დროს თვალთ დააკლდა ძალიან) და შეცვლილი ხმით ეკითხება: – ქალბატონო, ძროხას ხომ არ მომყიდითო?! მანია შეცბა, დაფიქრდა და უპასუხა – არა, არა, გეაცვალე, არ ვყიდიო. „კლიენტმა“ მანქანა დაქოქა და წავიდა. საღამოს ესტუმრა მანიას სიძე და ეკითხება – მანავიდან კლიენტი გამოგიგზავნე, უარი რატომ უთხარი ძროხის გაყიდვაზეო?!

– რავი, ბიჭო, მუზეუმის ეზოში ვაბალახე ძროხა, იქვე გავთიბე ერთი „მეშოკა“ ბალახიც და ვიფიქრე, რაზე გავამუქთო ეს ბალახი, ამიანა (ქმარი) ამას არ ჭამს, ზაზა და ემზარიო (შვილი და შვილიშვილი)...

### 38 ცალი „მოსკვიჩი“

**მეზობლის** ბიჭმა „სტოგრამამ“ „მოსკვიჩით“ ჩამოირბინა და მანიას ფეხებთან გაუჩერა – მანქანა მომილოცოსო. ფასით დაინტერესდა მანია. 1000 მანეთი მივეციო – „სტოგრამამ“: – უი, მეხი კი დავაყარე ჩემ ზაზას, იმ ფულით 38 ესეთი მანქანა მოუვიდოდა, ქაა, ნაირ-ნაირი ფერისა იქნებოდა და ყოველდღე სხვადასხვა ფერის მანქანით „ირბენდაო“ (იმ დღეებში ზაზასათვის მშობლებს 38 ათას მანეთად ღირებული გაზ-24 ეყიდათ).

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru